

შ.პ.ს. „საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი“-ს წესდება

მუხლი 1

ზოგადი დებულებები

1. შ.პ.ს. „საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი“ (შემდგომში საზოგადოება) წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირს.
2. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
3. საზოგადოების სახელწოდება/საფირმო სახელწოდება: შ.პ.ს. „საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი“.
4. საზოგადოების სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
5. საზოგადოების იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. გორი, გორგასლის ქუჩა N 1 ა
6. საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით.
7. საზოგადოების საქმიანობის საგანი:
 - ა) საგანმანათლებლო საქმიანობა;
 - ბ) საგამომცემლო საქმიანობა
8. საზოგადოების ამოცანებია:
 - ა) განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
 - ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს მიანიჭოს საქართველოს განათლების სფეროში მოქმედი სამართლებრივი აქტების და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების თანახმად შესაბამისი პროფესიული განათლების ერთ-ერთი საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი;
 - გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლა დასრულებულად ჩათვალოს შესაბამის საფეხურზე მოთხოვნილი კრედიტების რაოდენობის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნების შესრულებით.
 - დ) კრედიტების დაგროვების განხორციელება სასწავლო დისციპლინის და სხვა სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტების დადებითი საბოლოო შეფასებათა დასრულებით;
 - ე) შეადგინოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემების (ECTS) შესაბამისად, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებითა და მისი დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით.
 - ვ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები გააერთიანებს კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს/მოდულებს. მასში განსაზღვრული იქნება

პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები.

9. საზოგადოების ძირითადი მისია ითვალისწინებს შიდა ქართლის რეგიონში და მთლიანად საქართველოში ერთიანი პროფესიული საგანმანათლებლო სივრცის შექმნისა და ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების ხელშეწყობას, პირის მიერ მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფას პროფესიული სწავლების მრავალსაფეხურიანობის და მრავალფეროვნების გათვალისწინებით; ასევე,

ა) ინდივიდის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას;

ბ) შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფას;

გ) პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობას.

10. საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

11. საზოგადოების ელ. ფოსტა: info.college.amagi@gmail.com

12. საზოგადოების ტელ.: 0370-27-05-56 / 598 188 588

მუხლი 2

საზოგადოების დამფუძნებლები

1. საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან:

ა) რუსუდან სუხიშვილი პ/ნ 59001042709, მცხოვრები ქალაქი გორი, თბილისის ქუჩა N40;

ბ) ეკატერინე სუხიშვილი, პ/ნ 59001005656, მცხოვრები ქალაქი გორი, თბილისის ქუჩა N40.

2. პარტნიორების წილი კაპიტალში განისაზღვრა შემდეგნაირად: რუსუდან სუხიშვილი პ/ნ 59001042709 - 50 (ორმოცდაათი)% და ეკატერინე სუხიშვილი, პ/ნ 59001005656 - 50 (ორმოცდაათი)%.

მუხლი 3

საზოგადოების მართვა

1. საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება;

2. პარტნიორთა საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც. საზოგადოების ყოველ პარტნიორს ან/და დირექტორს, შეუძლია ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება ყველა პარტნიორისათვის დაზღვეული წერილის გაგზავნით

ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. წერილი უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში პარტნიორს/პარტნიორებს შეუძლიათ დამატებათა შეტანა დღის წესრიგში.

3. პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ საერთო კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ საერთო კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს საერთო კრება. მეორე საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც კი, თუ მასზე არ გამოცხადდება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები).

4. პარტნიორთა საერთო კრების მონაწილენი თავიანთი შემადგენლობიდან ხმების უბრალო უმრავლესობით ირჩევენ თავმჯდომარეს. პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების მიღებისთანავე თავმჯდომარე ადგენს და ხელს აწერს საერთო კრების ოქმს.

5. თუ გადაწყვეტილება შეეხება საზოგადოებასა და ერთ-ერთ პარტნიორს შორის დავას, მაშინ ამ პარტნიორს ხმის უფლება არა აქვს.

6. პარტნიორთა საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

ა) წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;

ბ) საწარმოს სარეგისტრაციო განცხადების მონაცემებსა და წესდებაში ცვლილებების მიღება;

გ) ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;

დ) ინვესტიციების შესახებ, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;

ე) ვალდებულებათა აღება, რომლებიც ცალკე ან მთლიანად აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;

ვ) ვალდებულებათა უზრუნველყოფა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას და რომელთა ღირებულება აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;

ზ) პროკურის გაცემა და გაუქმება;

თ) წლიური შედეგების დამტკიცება;

ი) აუდიტორის არჩევა;

კ) საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

ლ) ხელმძღვანელ პირთათვის მოგებასა და საერთო შემოსავალში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის პრინციპების განსაზღვრა;

მ) იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე აქვს დირექტორის ან/და პარტნიორის მიმართ, ასევე საზოგადოების წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომლებსაც იგი დირექტორის წინააღმდეგ წარმართავს;

ნ) შენატანების მოთხოვნა;

ო) დამატებითი შენატანების უკან დაბრუნება;

პ) დირექტორების დანიშვნა და გამოწვევა, მათთან ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა, აგრეთვე მათი ანგარიშების დამტკიცება;

ჟ) სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

რ) ახალი/დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

7. ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას.

8. საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, როცა ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს. წერილობითი თანხმობა საერთო კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება საერთო კრების გადაწყვეტილებად.

9. პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება მიიღება მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული არ არის გადაწყვეტილების ერთხმად მიღება და, თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისათვის ან/და არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს.

10. პარტნიორთა საერთო კრებაზე პარტნიორებს აქვთ მათი წილის პროპორციული ხმათა რაოდენობა.

11. პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებათა გასაჩივრება შესაძლებელია შესაბამისი ოქმის შედგენიდან 2 თვის ვადაში, ხოლო თუ საერთო კრება (სხდომა) მოწვეულ იქნა ან ჩატარდა კანონის ან წესდების ნორმათა უხეში დარღვევით, ამ შემთხვევაში გასაჩივრება დასაშვებია ერთი წლის ვადაში.

მუხლი 4

საზოგადოების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

1. საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს.

2. დირექტორი საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად, ის უნდა მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ის ჯეროვნად არ შეასრულებს აღნიშნულ მოვალეობას, პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პირადად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

3. დირექტორის ხელმძღვანელობის უფლება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საზოგადოების სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლებას.

4. დირექტორი უფლებამოსილია მინდობილობის გარეშე დამოუკიდებლად იმოქმედოს საზოგადოების სახელით და წარმოადგინოს საზოგადოება მესამე პირებთან ურთიერთობაში.

5. დირექტორის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

6. დირექტორი გარდა საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებისა, ასევე ამტკიცებს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამებს.

7. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირებს არა აქვთ უფლება, პარტნიორების თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება, ან მონაწილეობა მიიღონ მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში როგორც პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა.

8. საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება საზოგადოების დირექტორს. ეს ვალდებულება არ ზღუდავს პარტნიორის (პარტნიორების) ან სხვა დაინტერესებული პირების უფლებამოსილებას, უზრუნველყონ ცვლილების რეგისტრაცია.

მუხლი 5

პარტნიორის უფლებები და მოვალეობები

საზოგადოების პარტნიორს გააჩნია შემდეგი უფლებები:

- ა) მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვაში;
- ბ) კონტროლი გაუწიოს საზოგადოების ხელმძღვანელობას;
- დ) საზოგადოების მოგებიდან მიიღოს კუთვნილი წილი საზოგადოების კაპიტალში საკუთარი წილის პროპორციულად.
- ე) შეუძლია პირადად გაეცნოს საზოგადოების საქმეებს და ამ მიზნით საზოგადოების წიგნები და ჩანაწერები.
- ვ) მოსთხოვოს სხვა პარტნიორებს საზოგადოების მიმართ არსებულ ვალდებულებათა შესრულება და ამ შესრულების გამო საკუთარი სახელით წარადგინოს სარჩელი.
- ზ) შეუზღუდავად გაასხვისონ ან დატვირთონ (დააგირავონ) მათ საკუთრებაში არსებული წილი საზოგადოების კაპიტალში.

მუხლი 6

პროფესიული სტუდენტი

1. პროფესიული სტუდენტი არის პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა და მობილობა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობითა და მის საფუძველზე შემუშავებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით.
3. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის გავლის საფუძველია წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება ან წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარება.
4. თითოეული საგანმანათლებლო საფეხურის საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დებულებით.
5. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია:
 - ა) მოითხოვოს და მიიღოს ხარისხიანი განათლება;
 - ბ) საზოგადოების წესდებით, დებულებებითა და შინაგანაწესით დადგენილი ნორმებით ისარგებლოს საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ) თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი და უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომლებსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესში;

დ) გადავიდეს სხვა სპეციალობის ან პროფესიულ საგანმანათლებლო სასწავლებელში კანონმდებლობით დადგენილი წესებით;

ე) აირჩიოს სასწავლო პროგრამა, მიიღოს მონაწილეობა ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებაში;

ვ) მიიღოს მონაწილეობა და გამოხატოს თავისი შეხედულებები საზოგადოების პერსონალის მუშაობის შეფასებაში;

ზ) განახორციელოს ამ წესდებით, ხელშეკრულებებით, საზოგადოების აქტებითა და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებები.

6. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) საზოგადოების მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ის საგანი, რომელიც აირჩია და რომელთა სწავლაც სავალდებულოა;

ბ) განუხრელად დაიცვას საზოგადოების წესდება, დებულებები და შინაგანაწესის მოთხოვნები;

გ) განუხრელად დაიცვას საზოგადოებასთან ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები;

დ) განუხრელად დაიცვას საზოგადოების პროფესიული სტუდენტის ეთიკის კოდექსის პრინციპები და მოთხოვნები;

ე) დაიცვას და გაუფრთხილდეს საზოგადოების ქონებას, მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს;

ვ) დაიცვას ეკოლოგიურ-სანიტარული, ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების სხვა ზოგადი ნორმები.

7. ურთიერთვალდებულებები და უფლება-მოვალეობები პროფესიულ სტუდენტსა და საზოგადოებას შორის დგინდება და რეგულირდება საზოგადოების წესდება-დებულებებით, შინაგანაწესით, პროფესიული სტუდენტის ეთიკის კოდექსითა და ხელშეკრულებებით, აგრეთვე საქართველოს კანონებით.

8. პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით საზოგადოებაში დასაშვებია პროფესიულ სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების, სპორტული და კულტურული განვითარების ცენტრების შექმნა.

მუხლი 7

საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

1. საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია შესაძლებელია პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დაგენილი წესით.

მუხლი 8
დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.
3. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

რუსუდან სუხიშვილი -----

ეკატერინე სუხიშვილი -----